ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3950574

ნომერი: AR1594673

თარიღი : 23.04.2018

გაცემის თარიღი : 10.05.2018

გაცნობის თარიღი : 10.05.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/19);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ დვალიშვილი პ/ნ 01025015955
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 19 ბ. 61

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 2 აპრილის #AR1587452 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.14.06.008.128 არსებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით განხორციელდა შეუსაბამოდ, რის შედეგადაც საპროექტო მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სტანდარტული კონფიგურაცია, შესაბამისად ვერ მოხდება შენობის სრული ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სრულფასოვანი სატრანსპორტო შესასვლელი გზა და ტერიტორიაზე შესვლა ვერ მოხდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2018 წლის 2 აპრილის #AR1587452 განცხადება,

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.